

**ბედის გაგება
მეგრულ ფოლკლორში
CONCEPT OF FATE
IN MEGRELIAN FOLKLORE**

ნანა აბულაძე

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
ზუგდიდი. საქართველო

Nana Abuladze

Dadiani Palace's Historic-Architectural Museum
Zugdidi, Georgia

ABSTRACT

The concept of fate has an important role in Georgian Folklore. According to folk beliefs, much depends on an enigmatic and invisible power which is called fate. Fate can be good or bad. The folk reality knows arbiters of fate.

Just as every nation in the world, people in Georgia believed and still believe that human fate is predestined and that everyone inherits luck as soon as they are born and no one is capable of changing it. In different regions of Georgia, people had different perceptions about fate and its impact on individual lives and those perceptions were represented differently in their ways of life.

The relationship between fate and God is rather important. Often, people identify fate with God. The truth of God is beyond human understanding. Human consciousness is not able either to grasp the mystery of fate. Everybody complains about fate, when they encounter problems and mental anguish, wondering why they inherited such bad luck. Similarly, people appeal to God for help mostly as they pass through an ordeal, complaining why they suffer a stroke of bad luck. Consequently, truth and profundity of fate and God are beyond human comprehension.

Folk materials and ethnographic way of life prove that people place their faith in fate. According to their ideology, fate is inescapable, e.i. what was made legitimate by fate is inevitable. Megrelian population believed that fate controlled the life of a man from the moment of his birth till his last seconds on the earth. The entire life of an individual is written on his forehead as soon as he is born, and no one and nothing can change it.

საკვანძო სიტყვები: ქართული (მეგრული) ფოლკლორი, ხალხური წარმოდგენები, ბედისწერა,

Keywords: Georgian (Megrelian) folklore, folk beliefs, destiny.

ქართულ ფოლკლორში ბედის გაგებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული თვალთახედვით, ბედი ბრმაა, ვინაიდან მის ნაქმნს ლოგიკური განსჯა და ახსნა-განმარტება არ უხერხდება; არანაირი შინაგანი საზრისი და გონივრული საფუძველი მის „გადაწყვეტილებას“ არ მოეძევა... (არაბული 1999: 3).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც სწამდათ და დღესაც სწამთ, რომ ადამიანთა ბედი თუ უბედობა წინასწარ არის განსაზღვრული, რომ მათ ბედისწერა დაბადებიდანვე თან დაჰყვებათ და ადამიანი მის წინაშე უძლურია.

ბედისწერა და მისი გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე საქართველოს კუთხეებში სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი და ეს წარმოდგენები ადამიანთა ყოფაზე სხვადასხვაგვარად აისახებოდა.

ე. მელეტინსკი სწორად აღნიშნავს: „მითოლოგიური აზრი კონცენტრირებულია ისეთ მეტაფიზიკურ პრობლემებზე, როგორებიცაა საიდუმლო დაბადებისა და სიკვდილისა, ბედისა და ა. შ., რომლებიც მნიშვნელოვანწილად პერიფერიულია მეცნიერებისათვის და რომელთა პირწმინდად ლოგიკური ახსნა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ საზოგადოებასაც კი. ნაწილობრივ ამით აიხსნება მითოლოგიის ცნობილი სიცოცხლისუნარიანობა და, მაშასადამე, სინქრონიულ პლანში მისი განხილვის მართებულობაც“ (Мелетинский 1976: 169).

ხალხური წარმოდგენებით, ბევრი რამ დამოკიდებულია ადამიანისთვის ამოუცნობ და უხილავ ძალაზე, რომელსაც ბედი ეწოდება. არსებობს კარგი და ცუდი ბედი. ხალხური სინამდვილე იცნობს ბედის მწერლებს.

საინტერესოა მეგრული ხალხური ლექსი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ბედისწერა გარდაუვალია:

გინოჭყვადილ ბედი რე,	„გადაწყვეტილი ბედია,
მუთ მორძუნი, იმრავლებუ -	რაც მოგელის, ახდება,
იმა დღას ვენტინე,	იმას ვერასდროს გაექცევი,
გლახა ჯგირო მიიღე ოკონ,	ცუდი კარგად უნდა მიიღო,
რახან დუდი ვერცხინე.	რადგან თავს ვერ იხსნი“

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: 160).

ბედისა და უფლის ურთიერთობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ადამიანი ბედს ხშირად ღმერთთან აიგივებს, რაც შოთა რუსთაველს კლასიკურად აქვს გადმოცემული ფრაზაში: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ (რუსთაველი 1988: 166). უფლის სიმართლე ადამიანთა გონებისთვის მიუწვდომელია. ხალხური ცნობიერებაც ვერ წვდება ბედის იდუმალებას. ბედს ადამიანი გაჭირვების, სულიერი ტკივილის დროს მიმართავს საჩივრით, რატომ გაჩნდა ის უბედური. უფალსაც ადამიანი მეტწილად განსაცდელის დროს მიმართავს, რატომ დაატყდა მის თავს ესა თუ ის უბედურება. ამდენად, ბედისა და უფლის სიმართლე და სიღრმე მოკვდავთათვის ამოუხსნელია.

მეგრული ხალხური ლექსი ამბობს:

გაჭირვება, დარხინება, ღორონთიშე რე გორჩქინელი...

მუდგას ბედი მოიღანსინი, თინა ოკო მოწილენი.

„გასაჭირი და ლხენა ღვთისაგანაა გაჩენილი...“

რასაც ბედი მოგიტანს, აი ის უნდა მოკრიფო“ (სამუშია 1979: 88).

ნ. სულავა ბედსა და განგებას ეხება და მიუთითებს, რომ „ტრადიციულად გაგებულ ბედი ბრმაა, უხანო, ცვალებადი, დაუდგრომელი. ბედს ადამიანი გონებით უნდა შეეგუოს, მიიღოს და ირწმუნოს. იგი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არა მოქმედების შედეგად, არამედ ზოგ რელიგიაში - ღმერთის მიერ, ზოგი - სხვა ზეციური ძალთაგან“ (სულავა 2000: 218).

მეგრელთა წარმოდგენით, ბავშვი გაჩნდება თუ არა, მისი სახელობის ვარსკვლავი მაშინვე ცაზე მიეკვრება, გარდაცვალების დროს კი ეს ვარსკვლავი ქრება, იშლება („ილასუ“). აქედან მომდინარეობს ყოვითი გამოთქმა – სი სახელმოლასირი („შე სახელწაშლილო“, ე. ი. მოსაკვდომო). მათ სწამთ, აგრეთვე, რომ ახალდაბადებულს უხილავი ხელით შუბლზე ეწერება, თუ რამდენ ხანს იცხოვრებს „სააქაოს“, რა ასაკში მოკვდება და როგორ, უბედოდ, უდღეოდ... მკვდარ კაცზე იტყვიან: უცვამ-ჭარე (ცვა „შუბლს“ აღნიშნავს, ჭარა - „წერას“, ე. ი. უცვამ-ჭარე ნიშნავს „შუბლზე უნაწეროს“ (ქართული ხალხური სიტყვიერება 1991: 558).

ხალხური ანდაზა გადმოგვცემს:

კოს ცვაიჭარაშა ვემდაართე.

„კაცი თავის ბედს (შუბლზე დაწერილს - ცვამ ჭარას) ვერ წაუვა“

(ხალხური სიბრძნე 1994: 70).

შუბლი არ გულისხმობს მხოლოდ ადამიანის სხეულის ნაწილს, ის არის ადგილი, სადაც ადამიანის ზნეობის ყოველი კანონი იწერება: ცვაშჯერღვი = შუბლის ძარღვი (მოსია 2006: 34).

საინტერესოა მეგრული გამოთქმა:

ცვაში გოხარცქუას დუდიში გოხარცქუა უჯგუნია.

„შუბლის გახეთქვას თავის გახეთქვა სჯობიაო“

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1991: 451).

მთელ რიგ ზღაპრებში მოცემულია ბრმა რწმენა ბედისწერისადმი: რაც ბედით არის დაკანონებული, ის ადამიანს არ აშორდება (სიხარულიძე 1958: 241). ყურადღებას გავამახვილებთ მაკარ ხუბუას მიერ ჩაწერილ ტექსტზე - ჟირ დალეფ დო ართი ჯიმაში არიკი („ორი დისა და ერთი ძმის ზღაპარი“), სადაც გადმოცემულია, თუ როგორ აწერენ ბედს ახალშობილს:

– ამსერ დებადგენ თენა მუმ ელბალიშ ორდასია?

– წყარიშ შქვიდამ ბედი ქიმეფჩათია (ხუბუა 1937: 135-136).

„– ამ სადამოს რომ დაიზადა, ეს როგორი იღბლისა იყოს?

– წყალში დახრობის ბედი მივცეთ“.

დრო გადის, ბიჭი იზრდება, ქმნის ოჯახს და სტუმრად მიდის სიმამრის სახლში, გზად კი წყალში იხრჩობა. ვაჟი ვერ გაეცა თავის ბედისწერას, რომელიც მას დაეწერა.

ხალხური წარმოდგენით, ბედნიერს და უბედურს სიკვდილი ათანაბრებს, რასაც სავლელე მუშაობის დროს ჩაწერილი ფოლკლორული მასალა გვიდასტურებს:

ბედნიერ დო უბედურს

ართო უღუნა შარა,

ირო მითინ ვეუაფუ,

ტყურათ იღორებუნა ვარა.

„ბედნიერს და უბედურს

ერთი გზა აქვთ,

მუდმივად არავინ იქნება,

იტყუებენ თავს“

(მთქმელი: თორნიკე კარტოზია, ზუგდიდი, 2021).

მსოფლიოში ალბათ იშვიათია კუთხე, სადაც გარეგნულად ისე გულგრილად ხვდებოდნენ ბავშვის დაბადებას, როგორც თუშეთში, თან ეს ბავშვი ქალიშვილი თუ იქნებოდა, მით უმეტეს, იქ უძეობა ყველაზე დიდ უბედურებად ითვლებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ თუშს ღრმად სწამდა იმქვეყნიური ცხოვრების. საიქიოში კი ის კაცი, რომელსაც ამქვეყნად გვარის გამგრძელებელი არ ჰყავს, ბეჩავია, საცოდავია; თუ მიცვალებულთა ხსენების დღეებში მის ოჯახში ტაბლა არ დაილოცება, იგი იქ სხვისი შემყურეა, მშიერ-მწყურვალა. ბავშვის გაზრდა თუ სიკვდილი, მისი ბედიანობა თუ უბედობა, თუშთა ღრმა რწმენით, ღვთის განგებაზე იყო დამოკიდებული. ღმერთს თუ უნდა გასაზრდელად, გაიზრდება და ბედ-ილბალიც თან დაჰყვება, თუ არადა, ვერავინ და ვერაფერი გადაარჩენსო. მათ სწამდათ, რომ ბედისმწერელი ყველა ბავშვს დაბადებისთანავე თავის ბედ-ილბალს აწერენ და იმ ერთხელ დაწერილს ვერავინ ვერ ასცდებაო.

ამგვარი რწმენის დამადასტურებელი უამრავი ლეგენდა, თქმულება და ლექსია შემონახული თუშეთში. საინტერესოა ლელა ბახტურისძის ნაამბობი: „ერთი დიაცი ყოფილა ორსული, ღამე სტუმრად მისვლია ერთი კაცი და იქვე დარჩენილა დასაძინებლად. იმ ღამეს დიაცს ბიჭი გაუჩენია, დედას დასძინებია, სტუმარ კაცს კი ღვიძავს. შუადამისას შემოსულან სამნი, დამსხდარან კარების პირშივე და დაუწყიათ გარიგება, ზოგი რა თქვეს, ზოგი რა, ბოლოს, ეს კაიო და სიკვდილი როგორ დავუწეროთო? როგორ და თავის ქორწილში მგელმა შეჭამოსო, ეს თქვეს და წავიდნენ. ყველაფერი ხომ გაიგონა სტუმარმა კაცმა, მაგრამ არავის არაფერი არ უთხრა, ოღონდ დედას შეეხვეწა, ეს ბალდი მომანათლინეთო. მართლაც, მონათვლინეს ამ კაცს ეს ბავშვი. გაიზარდა ბიჭი, უთხოვეს ცოლი, ქორწილში ნათლიაც იყო, რა თქმა უნდა. ქორწილია. ნეფე-პატარმალ სხედან, ყველა ქეიფობს, მხოლოდ ეს ნათლია არ ჯდება, სულ ფეხზე ტრიალებს, ელოდება რაღაცას, უცებ ატყდა ჩოჩქოლი, არიქა მგელი, მგელიო, იძრო ამ ნათლიამ ხანჯალი და მოკლა მგელი. თავი მოაჭრა და თქვა, აი, რატომ არ ვჯდებოდიო, მე ამ ბალდის დაბადებისას იქ ვიყავი და მესმოდა, ბედისმწერლებმა როგორ დააწერეს მგლის შეჭმით ქორწილში სიკვდილიო. დამშვიდდა ნათლიაც და ხალხიც. იმ ნეფეს სული შეუწუხდა, ნეტა რა მგელი იყოო, ცოტა ხანს ადგა და გარეთ გავიდა, იმ მგლის თავი და ტანი იქვე ეყარა, მამ შენ უნდა შეგეჭამეო, - თქვა ნეფემ და მგლის თავს კბილებში ფეხი მიარტყა, ამ დროს მგლის კბილი ფეხში შეერჭო, ეს ჭრილობა გაუავდა და მოკლა, თავის ბედის წერას მაინც ვერ ასცდა“ (ცოცანიძე 1990: 169-170).

პოეტური ტექსტიც ნათლად ადასტურებს, რომ კაცი ვერ ასცდება თავის ბედისწერას:

ჩამოსხდებიან ყორნები,

არ გაირევენ ძერასა,

რაც უნდა კაცი ეცადოს,

ვერ ასცდება თავის წერასა (ბოჭორიძე 1993: 383-384).

ზოგჯერ ბედისმწერალთ გამორჩებათ თურმე ახალშობილისათვის თავისი ანაწერის გაჩენა. ასეთ ადამიანს ბედი მანამ არ გაეხსნება, სანამ ბედისმწერალნი მისთვის არ მოიცილიან და არ დაუწერენ ბედსა თუ უბედობას. ასეთ ადამიანზე იტყვიან: „უმწერლოდ არის გაჩენილი“.

მშობელი თუ რამეს იღონებდა ბავშვის ჯანმრთელობისა და გაზრდისთვის, ისიც ღვთის თვალის, ზებუნებრივი კეთილი თუ ბოროტი ძალების დაოკებისა და დათრგუნვისაკენ იყო მიმართული. ბავშვის აკვანზე ჰკიდებდნენ ვერცხლის, გიშრის, ქარვის... შელოცვილ სამკაულებს. ეს ჩვილს ავი თვალისგან იცავდა. ბავშვს თუ ძილში აშინებდნენ, აკვანში დაშნას ჩაუდებდნენ. თუ ესეც არ უშველიდა, ზაფხულში, როცა ხევსურთ ჯვარიონი ჩამოივლიდა, მათ მიაგებებდნენ სანთელ-ზედაშესა და საკლავს, ხევისბერი საკლავს დაკლავდა, ლოცვას წარმოთქვამდა, საკლავის სისხლით ბავშვს შუბლზე ჯვარს გამოსახავდა, თავისი ჯვარის დროშას თავზე დააბერტყავდა. მშობელს სჯეროდა, რომ ამ გზით ბავშვის სხეულში ჩაბუდებული „ავქარი“ განიდევნებოდა და ბავშვს დაიფარავდა ჯვრის ძალა. ბავშვი შეიძლება „ნაწილიანი“ დაიბადოს, ე. ი. ღვთაებრივი თვისებები გამოჰყვეს. ამბობდნენ, ასეთ ბავშვს ღამით აკვანში მწოლიარეს სახეზე ნათელი ადგებაო. იგი თურმე უჩვეულოდ ლამაზია. დედას ასეთი ბავშვის დაბადება მაინცდამაინც არ უხაროდა, რადგან იგი იშვიათ შემთხვევაში იზრდებოდა. თუ ბავშვის ნაწილიანობას დედაზე ადრე სხვა შეამჩნევდა, იგი აუცილებლად მოკვდებოდა. თუ პირველი დედა შეამჩნევდა, ის არავის ეტყოდა ამის შესახებ, წავიდოდა სადმე სოფლიდან შორს და იქ გარემოს სამჯერ გასმახებდა: „მთანო, კლდენო, ღრენო, ხევნო, წყალნო, ნადირნო, ფრინველნო, მოგდიოდესთ, ჩემ შვილ ნაწილიანიაო“ (ცოცანიძე 1990: 170-171). ამის შემდეგ ბავშვს საფრთხე არ ემუქრებოდა. ასე იქცეოდა დედა მაშინაც, როცა შვილი „ბითაო“ იბადებოდა. ასეთ ბავშვს ნეკნები გაერთიანებული ჰქონდა ერთ მთლიან ძველად. ნაწილიანი ბავშვი თუ გაიზრდებოდა, აუცილებლად სახელოვანი, გამორჩეული პიროვნება დადგებოდა, ხოლო ბითაოს უჩვეულოდ დიდი ძალა ჰქონდა თურმე. ნაწილიანი ყოფილა ლეგენდარული თორღვა. მას მარჯვენა ბეჭზე მზის ნიშანი ჰქონია, ხოლო მარცხენაზე – მთვარისა. თორღვას მოუკლავს თუშეთის მტერი ქისტი ვაზუზი:

დადექ, დაგვეხსენ, ვაზუზო, თუშეთის გეყო ზიანი.

წინ თორღვა შემოგეყრება, ღვთისაგან ნაწილიანი.

ნაწილიანი ზოგჯერ პირუტყვიც გამოდიოდა. ნაწილიანი ყოფილა ბარმა ბახტურის ცხენი, რომელსაც თურმე პატრონი იქით მიჰყავდა, სადაც ომი იყო (ცოცანიძე 1990: 172).

სამეგრელოშიც მტკიცედ სჯეროდათ ბედისწერის ძალის, ხშირად საყვედურსაც გამოთქვამდნენ მისი უსამართლობის გამო, რაც ნათლად აისახა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში:

უჩა ბედი

მუ ჟამიშა, უჩა ბედი,
მა თაშ გილამთგრუნქენი,
უკულ რენო მაკეთენქე,
ხეს ქაშქონდლულუქინი?!
გიჩგრთიდა¹, ქომიწი,
მუშ გურშენ მონდურუქენი,

შავი ბედი

„რა დრომდე [გსურს], შავო ბედო,
რომ ასე თრევით მატარო,
მერე გინდა გამახარო (გამაკეთო),
ხელში რომ შემოგადნები?!
თუ (რამ) შეგცოდე, მითხარი,
რისი გულისთვის მემდღური,

¹ გიჩგრთიდა - სიტყვასიტყვით: „თუ შეგიცდი (თუ რამე დაგიშავ)“.

ჭკვერშე ხვად პატიება,
მეგრეთასი ცურუქუნი.
აკა ჯგირო ქომჭყოლოფი,
უსამართლო ვა რექედა,
ქომუჩე დო კინ მიდამლე,
ჯგერო ვამმახვარენქედა?!
მუმაჩამალ, მიდმაღალარი
ეგებ შხვადოშხვა რექე და,
ჟერხოლოქე დომღურითე,
ჩქიმო აკა ვარექედა!..

ჭკვიანისგან ხამს პატიება,
რომ შეცდეს უმეცარი.
ერთი კარგი მიწყალობე,
უსამართლო თუ არა ხარ,
მომცე და ისევ წამართვა, –
კარგად თუ არ მომახმარ!
მომცემი [და] წამრთმევი,
ეგებ სხვადასხვანი ხართ,
ორივენი მომიკვდით,
ჩემთვის არც ერთი თუ არ ხარ!..“
(სამუშია 1971: 53).

ან კიდევ:

უბედური ბედიში კოჩი

უბედური ბედიშ კოცე ქუა მოჭიშაფ იკოხონც,
ტომბა წყარშა მიშუულეზუ, თექი გორუნდუა ფონცე...
უბედური ბედიშ კოცე ირ სიკეთე აფუ შორცე,
ღორონთიშე გოჯოგელი კოცეთ ჯოგე, ვამოწონცე,
მუდგა ჯგერც შეხვადასენი, ვეხუჯეზუ იში თოლცე.

უბედური ბედის კაცი

„უბედური ბედის კაცს ქვა დასწევია აღმართზე,
ღრმა წყალში შესულიყო, იქ ეძებდაო ფონს...“

უბედური ბედის კაცისათვის ყოველი სიკეთე შორსაა;
ღვთისაგან შეძლებულ კაცსაც სძულს, არ მოსწონს,

რაგინდ კარგს რომ შეხვდეს, მის თვალს არ მოსწონს“ (სამუშია 1971: 53).

ამდენად, ფოლკლორული მასალა და ეთნოგრაფიული ყოფა გვიდასტურებს, რომ ადამიანებს ბრმად სჯერათ ბედისწერის. მათი მსოფლმხედველობის მიხედვით, ბედისწერა გარდაუვალია, ე.ი. რაც ბედით არის დაკანონებული, ის ადამიანს არ აცდებია.

სამეგრელოს მასალების მიხედვით, ბედი წარმართავს ადამიანის ცხოვრებას ამქვეყნად მისი გაჩენის დღიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ახალდაბადებულს უჩინარი ხელით შუბლზე ეწერება მთელი თავისი ცხოვრება, ქორწინება, შვილები და სიკვდილი, რომლის შეცვლა არავის და არაფერს არ შეუძლია.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

არაბული 1999: არაბული ა., ბედის გაგება ქართულ ფოლკლორში. ლიტერატურული ძიებანი, XX. თბილისი, 1999.

ბოჭორიძე 1993: ბოჭორიძე გ., თუშეთი. თბილისი, 1993.

მოსია 2006: მოსია ბ., ქართული ფოლკლორის სახისმეტყველება. თბილისი, 2006.

რუსთაველი 1988: რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. ქართული მწერლობა, ტომი IV. თბილისი, 1988.

სამუშია 1971: სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები. თბილისი, 1971.

სამუშია 1979: სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით). თბილისი, 1979.

სიხარულიძე 1958: სიხარულიძე ქს., ნარკვევები, I. თბილისი, 1958.

სულავა 2000: სულავა ნ., განგების რუსთაველური კონცეფცია. შოთა რუსთაველის სამეცნიერო შრომების კრებული, I. თბილისი, 2000.

ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ. თბილისი, 1975.

ქართული ხალხური სიტყვიერება 1991: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ. თბილისი, 1991.

ცოცანიძე 1990: ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე. თბილისი, 1990.

ხალხური სიბრძნე 1994: ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები. შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშიში. თბილისი, 1994.

ხუბუა 1937: ხუბუა მ., მეგრული ტექსტები. ტფილისი, 1937.

Мелетинский 1976: Мелетинский Е., Поэтика мифа. Москва, 1976.

პირადი არქივი 2021: პირადი არქივი; მთქმელი თორნიკე კარტოზია, 73 წლის; ჩამწერი ნ. აბულაძე, ქ. ზუგდიდი, 2021 წელი.